ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37222411**
თარიღი:**29/08/2022**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამუშავება განპირობებულია უპირველესყოვლისა, მიმდინარე პერიოდისათვის იქ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით. იმის გამო, რომ დაბა გომისმთას არ გააჩნია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია, მისი განვითარება ხდება ულოგიკოდ, უსისტემოდ და ქაოტურად. შედეგები სახეზეა. დაბა გომისმთა კურორტის განაშენიანების არც ერთ პარამეტრს არ აკმაყოფილებს.

დაბა გომისმთის განვითარების ქალაქმშენებლობითი და არქიტექტურულ-გეგმარებითი პრინციპები, რომლებსაც მოიცავს განსახილველად წარმოდგენილი კონცეფციის პროექტი, ითვალისწინებს:

- მოსახლეობის ყველა კატეგორიის უსაფრთხოების საერთო პრიორიტეტის გამოკვეთას.

- ანთროპოგენური რისკების სრული პრევენციის და მუდმივი კონტროლის, აგრეთვე გარემოსდაცვითი შეზღუდვების გათვალისწინებას.

- სასმელი წყლით ყველა მომხმარებლის უწყვეტი უზრუნველყოფა, წყლის ხარისხის კონტროლი და წყაროების სანიტარული დაცვის ზონების დადგენა-ადმინისტრირებას.

- სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის ადგილობრივ პირობებზე მორგებული სისტემის შეთავაზება.

- ადგილობრივ ტურისტულ ბაზარზე სათანადო ადგილზე დამკვიდრებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

- გომისმთის ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობა.

- ყველა მესაკუთრისათვის მისაღები გომისმთის განვითარების ინოვაციური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გააზრება და დანერგვა.

- საჭიროების შემთხვევაში, მეზობელ მუნიციპალიტეტებთან საქმიანი, საერთო ინტერესებზე ორიენტირებული თანამშრომლობის ფორმალიზებული

ურთიერთობების დამკვიდრება.

- გომისმთის არქიტექტურულ-მხატვრული ხატის მკვეთრი გაუმჯობესება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის კონცეფციის პროექტი სრულად ითვალისწინებს 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, აგრეთვე 2019 წლის 3 ივნისს დამტკიცებული ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მოთხოვნებს.

კომისიამ დადებითად შეაფასა განხილვა-დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის კონცეფცია და რეკომენდაციას უწევს დამტკიცებას საკრებულოს მიერ.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი